

სტრასბურგის 1985 წლის ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის რატიფიცირებით, საქართველომ იკისრა ვალდებულება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარებული იქნება

1. მხოლოდ კონსტიტუციით
2. მხოლოდ პრეზიდენტის აქტით
3. შესაძლებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციითა და კანონქვემდებარე აქტებით
4. შიდა კანონმდებლობითა და შესაძლებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციით

პასუხი: 4

2. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს

1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად
2. ადგილობრივი ორგანოების ვალდებულებას, მათ მიერ მიღებული ადგილობრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებები შეუთანხმონ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ან ქვეყნის მეთაურს
3. ადგილობრივი ორგანოების უნარს, სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისგან დამოუკიდებლად, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი საქმეები
4. ქარტია არ განმარტავს, რას ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობა

პასუხი: 1

3. „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ადგენს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება ხდება საბჭოების ან ასამბლეების მიერ, რომლებიც შედგებიან

1. პირდაპირი და თანაბარი ხმის მიცემის საფუძველზე ღია კენჭისყრით არჩეული წევრებისგან
2. პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისგან
3. პირდაპირი და თანაბარი ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული დეპუტატებისგან
4. პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ღია კენჭისყრით არჩეული წევრებისგან

პასუხი: 2

4. რომელია სწორი პასუხი: „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის დამატებითი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების მინიჭებას სპეციალური მიზნებით

1. კრძალავს
2. დასაშვებად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ არის ევროპის საბჭოს თანხმობა
3. ხელს არ შეუშლის, თუ ასეთი გათვალისწინებულია კანონით
4. დასაშვებად მიიჩნევს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით

პასუხი: 3

5. რა შემთხვევაში აქვთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ?

1. კანონის ფარგლებში, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან და მინიჭებული აქვთ ხელისუფლების ზემდგომი ორგანოს მიერ
2. კანონის ფარგლებში, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს
3. კანონის ფარგლებში, რომელიც არ განეკუთვნება მათ კომპეტენციას, მაგრამ არის ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება
4. მხოლოდ ამ ქარტიით დადგენილ შემთხვევებში

პასუხი: 2

6. „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ადგენს, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციული საზღვრები შეიძლება შეიცვალოს

1. მხოლოდ შესაბამის ადგილობრივ ორგანოსთან წინასწარი კონსულტაციით
2. მხოლოდ რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით
3. შესაბამის ადგილობრივ ორგანოსთან წინასწარი კონსულტაციით, შესაძლებლობის შემთხვევაში, რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით იქ, სადაც კანონით ეს ნებადართულია
4. ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილებით რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით

პასუხი: 3

7. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების რომელ ფინანსურ წყაროზე მიუთითებს, რომლის თუნდაც ნაწილი უნდა შემოდიოდეს ადგილობრივ ბიუჯეტში?

1. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები
2. ადგილობრივი გადასახადები და გადასახდელები
3. ადგილობრივი სანებართვო და სალიცენზიო მოსაკრებლები
4. სახელმწიფო გადასახადები და მოსაკრებლები

პასუხი: 1

8. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება გაერთიანებაზე ნიშნავს, რომ ამ ორგანოებს შეუძლიათ

1. თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას, ითანამშრომლონ და კანონის ფარგლებში შექმნან გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან, საერთო ინტერესებში შემავალი ამოცანების შესასრულებლად
2. თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას, კანონის ფარგლებში შექმნან პოლიტიკური გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან, საერთო ინტერესებში შემავალი ამოცანების შესასრულებლად
3. გაერთიანდნენ ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან სპეციალური პროექტების დასაფინანსებლად
4. გაწევრიანდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებში

პასუხი: 1

9. „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა დათქმით, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე

საქართველო იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ ტერიტორიებზე ამ ქარტიის პარლამენტის დადგენილებაში მითითებული პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. ჰქონდა თუ არა პარლამენტს ასეთი დათქმის გაკეთების უფლება?

1. არ ჰქონდა, ვინაიდან სახლმწიფო ვალდებულია ამ ქარტიის მოთხოვნები შეასრულოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე
2. არ ჰქონდა, ვინაიდან ქარტია პირდაპირ კრძალავს ნებისმიერი სახის დათქმის გაკეთებას
3. ჰქონდა, ოღონდ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან წინასწარი შეთანხმებით
4. ჰქონდა, ვინაიდან ქარტია ითვალისწინებს ტერიტორიულ დათქმას

პასუხი: 4

10. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის პირველი თავის, სულ მცირე, რამდენი პუნქტი უნდა იქნეს აღიარებული ხელშემკვერელი სახელმწიფოს მიერ?

1. 20
2. 24
3. 23
4. 10

პასუხი: 1